განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტი
სამართლის საბაკალავრო პროგრამა

შეფასების თარიღ(ებ)ი
05.11.18

დასკვნის წარდგენის თარიღი
07.12.2018

თბილისი
2018

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტი
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	205233022
დაწესებულების სახე	უნივერსიტეტი

ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	სამართლის საბაკალავრო პროგრამა
განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
მისანიჭებელი კვალიფიკაცია კვალიფიკაციის კოდის მითითებით	სამართლის ბაკალავრი 06
სწავლების ენა	ქართული
კრედიტების რაოდენობა	240
პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/ახალი)	აკრედიტებული

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ჰალუქ ქაბალიოღლუ - სტამბულის უნივერსიტეტის პროფესორი
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ვახტანგ ჟვანია - სამართლის საბაკალავრო პროგრამის კოორდინატორი შპს შავიზ ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი, სამართლის დოქტორანტი სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელწმიფო უნივერსიტეტი.
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	თამარ ბარამაშვილი - სტუდენტი ექსპერტი

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

- **ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**

სამართლის საბაკალავრო პროგრამა პირველად აკრედიტებული იქნა 2013 წლის 11 დეკემბერს, აკრედიტაციის საბჭოს №203 გადაწყვეტილებით. სტუდენტთა ჩარიცხვა დაიწყო 2014-2015 წლის სექტემბერში. პროგრამაში განხორციელებულ იქნა აღნიშნულ პერიოდში არაერთი მნიშვნელოვანი ცვლილება რომელიც უმეტესწილად ეყრდნობოდა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის და აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემულ რეკომენდაციებს. რეკომენდაციის თანახმად უნივერსიტეტში სამართლის საბაკალავრო პროგრამასთან მიმართებით გაზრდილ იქნა აკადემიური პერსონალის რაოდენობა და დამატებული იქნა აკადემიური წერის კურსი, ინდივიდუალურ სასწავლო კურსების სახელწოდებები დაკონკრეტდა და შეიცვალა, დაიხვეწა კურსების შინნარსი და მიზნები. პრაქტიკული კომპონენტის გაძლიერების მიზნით ტრეინინგ კურსეი დაემატა პროგრამას: სიმულაციური პროცესი ადმინისტრაციულ სამართალში, სიმულაციური პროცესი სამოქალაქო სამართალში და სისხლის სამართალში. ამის წარმართვის მიზნით იმიტირებული საამართლო სხდომის დარბაზი იქნა მოწყობილი. აღნიშნულ სიმულაციურ სასამართლო პროცესებში მონაწილეობა გათვალისწინებული იქნა კომპონენტის სახით შემდეგ კურსებში: სამოქალაქო სამართლის პორცესი, სისხლის სამართლის და ადმინისტრაციული სამართლის პროცესი. აღნიშნული მნიშვნელოვანია იმისათვის რომ განვითარებულიყო სტუდენტის პრაქტიკული უნარები, შესაბამისი შეფასების კრიტერიუმები ჩადებული სილაბუსებში. პროგრამა ასევე ითვალისწინებს უცხო ენის სწავლებას (ინგლისური, გერმანული, ფრანგული, რუსული), აღნიშნული კურსის სახით დამატებული იქნა პროგრამაში. განახლებული იქნა კურსებში გათვალისწინებული ლიტერატურა, უნივერსიტეტმა უზრუნველყო დარგში გამოცემული უახლესი ლიტერატურა. ასევე პროგრამას დაემატა არჩევითი საგნებიც. პროგრამის სასწავლო გეგმა გადახედილ და განახლებულ იქნა ცვლილებების შედეგად და მოიცვა კურსი“ საქართველოს კონსტიტუციური სამართალი“, რომლიც ისწავლებოდა მესამე სემესტრში, ამჟამად აღნიშნული საგანი ისწავლება მეორე სემესტრში. ახალი მემორანდუმები გაფორმებული იქნა ბოლო პერიოდში, იმისათვის რომ გაუმჯობესებულიყო სტუდენტთა პრაქტიკული უნარები და ხელი შეეწყო მათ დასაქმებას. სტუდენტთა კონტიგენტის დაგეგმვის მეთოდოლოგია შემუშავებულ იქნა უნივერსიტეტში იმისათვის რომ განესაზღვრათ აკადემიური და მოწვეული პერსონალის რაოდენობა, ასევე საჭიროება დამატებით მოეწვიათ პროფესურა. გარდა ამისა აკადემიურ პერსონალთან ერთად პროგრამაში დამატებით ჩაერთო მოწვეული პერსონალი.

- **აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა**

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფი პირველ დღეს დაესწრო განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ ორგანიზებულ წინამოსამზადებელ შეხვედრას დოკუმენტების გაცნობის და წინასწარი ვიზიტზე დასასმელი შეკითხვების მომზადების მიზნით. უშუალოდ ვიზიტი განხორციელდა 2018 წლის 5 ნოემბერს. ვიზიტი კარგად იყო ორგანიზებული და დაგეგმილი როგორც განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ასევე საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის მიერ. ვიზიტი მოიცავდა ინფრასტრუქტურის დათვალიერებას და შეფასებას, ასევე ინტერვიუებს სხვადასხვა ჯგუფებთან: ადმინისტრაციასთან რექტორის და დეკანის ჩატვლით, ხარისხის უზრუნველყოფის ჯგუფთან, აკადემიურ და მწვეულ პერსონალთან, სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან და გარე დაინტერესებულ მხარეებთან.

- **საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვ**

აკრედიტაციის სტანდარტების მიხედვით სამართლის საბაკალავრო პროგრამა შესაბამისობის თვალსაზრისით შეფასებულ იქნა შემდეგნაირად:
სტანდარტი 1 - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;
სტანდარტი 2 - მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;
სტანდარტი 3 - ნაწილობრივ შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;
სტანდარტი 4 - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;
სტანდარტი 5 - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

- **რეკომენდაციები**
- სილაბუსებში დეტალურად უნდა გაიწეროს ყველა სასწავლო კვირის აქტივობა, უნდა მოხდეს ასახვა რა აქტივობები იგეგმება შუალედურის კვირას დარჩენილ ერთ საათში. ასევე სილაბუსში გაუწერელი დარჩენილი ერთი კვირის დატვირთვაც უნდა იყოს ასახული.
- სილაბუსებში დეტალურად უნდა გაიწეროს ყველა სასწავლო კვირის აქტივობა, უნდა მოხდეს ასახვა რა აქტივობები იგეგმება შუალედურის კვირას დარჩენილ ერთ საათში. ასევე სილაბუსში გაუწერელი დარჩენილი ერთი კვირის დატვირთვაც უნდა იყოს ასახული.
- აკადემიურმა პერსონალმა მიაწოდოს სტუდენტებს ინფორმაცია მიმდინარე აქტივობების შესახებ, უზრუნველყოს მათი ჩართულობა, გაზარდოს მათი მოტივაცია (შეფასებით ან სტიპენდიით).
- სტუდენტებს უნდა მიეცეთ შესაძლებლობა რომ დაგეგმონ და განახორციელონ საკუთარი აქტივობები.
- აკადემიურმა პერსონალმა მხარდაჭერა უნდა გაუწიოს სტუდენტებს რომ მონაწილეობა მიიღონ სხვადსხვა შეჯიბრებებში ან მსგავს აქტივობებში.
- აუცილებელია სტუდენტებისათვის აქტიური გარემოს შექმნა.

- **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**
  - უმჯობესი იქნება არჩევით კომპონენტს დაემატოს საგნები სისხლის, კერძო და საჯარო სამართლის მიმართულებებით, რათა სტუდენტს ქონდეს უფრო მეტი თავისუფლება.
  - უნივერსიტეტი უნდა გააქტიურდეს საერთაშორისო თანამშრომლობის კუთხით საკუთარი აკადემიური პერსონალის საერთაშორისო

თანამშრომლობის მხარდაჭერის მიზნით. უნდა შეიქმნას გაცვლით პროგრამებში მონაწილეობის შესაძლებლობები.

- ბიბლიოთეკის მოცულობა უნდა გაიზარდოს სტუდენტების რაოდენობის პროპორციულად.
- უნივერსიტეტმა უნდა შეიმუშაოს სახელმძღვანელოების შეძენის გეგმა საჭიროების მიხედვით, რაც გაზრდის წიგნადი ფონდის მოცულობას.
- უმჯობესი იქნება თუ უნივერსიტეტს ექნება ელექტრონული სისტემა, რომლის მიხედვითაც მოხდება სტუდენტების, ადმინისტრაციული პერსონალისა და ლექტორების გამოკითხვა.

- **საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)**

- **განმეორებითი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები.

1.1 პროგრამის მიზნები
პროგრამის მიზნები ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული იგი და რა წვლილი შეაქვს დარგისა და საზოგადოების განვითარებაში.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი თვითშეფასების დოკუმენტში მითითებულია, რომ ,,საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია, ეროვნულ და საერთაშორისო საზოგადოებაში არსებულ სამართლებრივ ღირებულებათა დამკვიდრების ხელშეწყობა და სტუდენტის ინტელექტუალურ და პროფესიულ განვითარებაზე ზრუნვა.“ ამ გამოწვევას პროგრამა პასუხობს და სტუდენტს სთავაზობს არა მხოლოდ თეორიული ცოდნის მიღების შესაძლებლობას, არამედ მას აძლევს შანსს გამოიმუშავოს პრაქტიკული უნარ-ჩვევები და შეძლოს თეორიული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენება. ეს გარემოება სრულად შეესაბამება შრომის ბაზრის მოთხოვნებსა და სტანდარტებს. უნდა აღინიშნოს, რომ საბაკალავრო პროგრამის ამოცანები შეესაბამება მის მისიას, რეალისტურია, მიღწევადია და ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს. ხაზი უნდა გაესვას, რომ სამართლის პროგრამის შემუშავებასა და განხორციელებაში ჩართულნი არიან მაღალი კვალიფიკაციის აკადემიური და მოწვეული პერსონალი, რომელთაც გააჩნიათ დიდი აკადემიური და პრაქტიკული გამოცდილება. ეს ფაქტი გარანტიაა იმისა, რომ მათ მიერ შედგენილი სასწავლო კურები სტუდენტს მისცემს შესაძლებლობას მიიღოს არა მარტო თეორიული ცოდნა, არამედ ამ ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების შესაბამის უნარ - ჩვევებსაც გამოიმუშავებს. პროგრამის ფარგლებში შეთავაზებული სასწავლო კურსების შინაარსი ასახავს ადგილობრივ თუ საერთაშორისო ბაზარზე არსებულ მოთხოვნებს და გამოწვევებს. პროგრამის მიზნების მისაღწევად უმნიშვნელოვანეს ელემენტს წარმოადგენს ის გარემოებაც, რომ უნივერსიტეტს გააჩნია მნიშვნელოვანი ფინანსური რესურსი, რაც მიმართულია კვლევების განხორციელებისთვის, აკადემიური პერსონალის განვითარების მიზნებისკენ, ასევე მნიშვნელოვან გარემოებას ამ მიმართულების მდგრადობის კუთხით წარმოადგენს ის ფაქტი, რომ უნივერსიტეტი ყოველწლიურად მნიშვნელოვან დაფინანსებას იღებს საპატრიარქოსგან. უნივერსიტეტს გააჩნია ჩვენი ქვეყნის რეალობისთვის გამორჩეული ინფრასტრუქტურული რესურსი, რომელიც სტუდენტს აძლევს შესაძლებლობას კომფორტულად იგრძნოს თავი სწავლის პროცესში, რაც ასევე ემსახურება პროგრამის შეუფერხებლად განხორციელებას. ეს გარემოებები ცხადყოფს, რომ პროგრამის მიერ დასახული მიზნები რეალური და მიღწევადია. სტუდენტებისთვის შეთავაზებული არჩევითი საგნების სიმრავლე საჯარო, კერძო, სისხლის სამართლისა და საერთაშორისო სამართლის მიმართულებებით

შესაძლებლობას იძლევა სტუდენტის ინტერესებიდან გამომდინარე მისცეს მას თავისულება მისთვის სასურველი მიმართულებით გაიღრმავოს ცოდნა.
მტკიცებულებები/ინდიკატორები o თვითშეფასების დოკუმენტი o ინტერვიუ პროგრამის ხელმძღვანელთან o ინტერვიუები აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან o ინტერვიუები სტუდენტებთან o აკადემიური და მოწვეული პერსონალის CV
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ■ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

1.2 პროგრამის სწავლის შედეგები
➢ პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას; ➢ პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს; ➢ შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი სამართლის საბაკალავრო პროგრამა მაიცავს სავალდებულო და არჩევით კურსებს. სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კურსები, სწავლების მეთოდებისა და კრედიტების მოცულობის გათვალისწინებით, უზრუნველყოფს შესაბამისი კომპონენტით დასახული მიზნებისა და სწავლის შედეგების მიღწევას. პროგრამის სასწავლო გეგმაში შემავალი სასწავლო კურსების სილაბუსების შესწავლამ აჩვენა, რომ მათი უმრავლესობა სრულად აკმაყოფილებს დადგენილ სტანდარტებს, მაგრამ არსებობს გამონაკლისი შემთხვევები, სადაც სილაბუსების შეფასების ნაწილი საჭიროებს გადამუშავებას. რაც შესაძლოა გაჩენდეს იმის საშიშროებას, რომ ამ საგნებში შედეგის მიღწევასთან დაკავშირებით შეიძლება

შეიქმნას დაბრკოლებები, მაგრამ სტუდენტებთან და აკადემიურ პერსონალთან გასაუბრების შედეგად დადგინდა, რომ სტუდენტებს ლექტორების მხრიდან სემესტრის დასაწყისში მიეწოდებათ სრული ინფორმაცია შეფასებებთან დაკავშირებით, რაც შეიძლება ჩაითვალოს აღნიშნული ხარვეზის შევსების საშუალებად და კონკრეტული სასწავლო კურსით დადგენილი შედეგების მიღწევადობის საკითხიც არ დადგეს დღის წესრიგში. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ აკადემიური და მოწვეული პერსონალის პროფესიონალიზმი შეიძლება გახდეს ამ ხარვეზის დამაკომპენსირებელი. კითხვებს აჩნენს სემინარების რაოდენობა, სილაბუსების უმეტესობაში მითითებულია, რომ ტარდება 10 სემინარი სემესტრის განმავლობაში, ერთი პრეზენტაცია და შუალედური გამოცდა. ერთიანობაში სულ 13 კვირა გამოდის. ასევე სილაბუსში მითითებულია, რომ ფინალური გამოცდები ტარდება მე-16-19 კვირების განმავლობაში, გაურკვეველია რა აქტივობები ხორცილდება მეცამეტე კვირის შემდეგ ფინალურ გამოცდებამდე, ასევე მერვე ან მეცხრე კვირას, როცა იმართება 2 საათიანი შუალედური გამოცდა, გაურკვეველია დარჩენილ ერთ საათში რა აქტივობა იგეგმება, რადგან სემინარების და ლექციისთვის ყოველკვირა განსაზღვრულია 3 საათი. მაგალითისთვის შეგვიძლია მოვიყვანოთ შემდეგი სასწავლო კურების სილაბუსები: ,,საქართველოს კონსტიტუციური სამართალი“; ,,სამეწარმეო სამართალი“; ,,საერთაშორისო საჯარო სამართალი“ და სხვა.
მტკიცებულებები/ინდიკატორები o ინტერვიუ ფაკულტეტის დეკანთან o ინტერვიუ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან o ინტერვიუ პროგრამის ხელმძღვანელთან
რეკომენდაციები: სილაბუსებში დეტალურად უნდა გაიწეროს ყველა სასწავლო კვირის აქტივობა, უნდა მოხდეს ასახვა რა აქტივობები იგეგმება შუალედურის კვირას დარჩენილ ერთ საათში. ასევე სილაბუსში გაუწერელი დარჩენილი ერთი კვირის დატვირთვაც უნდა იყოს ასახული.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ■ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთა

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	■			

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები
უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი პროგრამაზე მიღების წინაპირობები გამჭვირვალეა, ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებული პირისთვის და უზრუნველყოფს შესაბამისი ცოდნის, უნარებისა და ღირებულებების მქონე პიროვნებების პროგრამაში ჩართვას. უნივერსიტეტის მიერ მომზადებულ თვითშეფასების დოკუმენტში ჩამოთვლილია სამართლის საბაკალავრო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, რომლის მიხედვითაც საგანმანათლებლო პროგრამით სწავლის უფლება აქვთ სრული ზოგადიგანათლების მქონე პირებს, რომელებიც ჩააბარებენ ერთიან ეროვნულ გამოცდებს. პროგრამით ასევე განსაზღვრულია ერთიანი ეროვნული გამოცდების გარეშე ჩარიცხვის წესი. უცხო ქვეყნის მოქალაქის ან საქართველოს მოქალაქისათვის კანონმდებლობით დადგენილ საგამონაკლისო შემთხვევებში, პირის ჩარიცხვა ხორციელდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დადგენილი წესის შესაბამისად. პროგრამა განსაზღვრევს როგორც შიდა, ისე გარე მობილობის წესს, რომელიც სრულად მოდის კანონმდებლობით დადგენილ რეგულაციებთან შესაბამისობაში. უნდა აღინიშნოს, რომ პროგრამაზე დაშვების წინაპირობები ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებული პირისთვის, ასევე განთავსებული უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე

მტკიცებულებები/ინდიკატორები o სამართლის საბაკალავრო პროგრამა o თვითშეფასების ანგარიში o უნივერსიტეტის ვებგვერდი o ინტერვიუები აკადემიურ და ადმინისტრაციულ პერსონალთან o ინტერვიუები საბაკალავრო პროგრამის სტუდენტებთან
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ■ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი
პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი საბაკალავრო პროგრამა შედგენილია კანონმდებლობის მოთხოვნათა სრული დაცვით და ასევე გათვალისწინებულია თანამედროვე შეხედულებები და მიმართულებები, პროგრამა შეესაბამება ბაზრის მთხოვნებს და სრულად ასახავს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებს. ასევე პროგრამაში წარმოდგენილი სწავლა- სწვლების მეთოდები შეესაბამება სტანდარტებს. პროგრამის სტრუქტურა მოწყობილია იმგვარად, რომ სტუდენტს უადვილდება შემდეგ სასწავლო სემესტრში სწავლის გაგრძელება, რადგან მის მიერ გავლილი სასწავლო კომპონენტი მას შესაძლებლობას აძლევს დაძლიოს პროგრამით გათვალისწინებული შესაბამისი დისციპლინა. პროგრამაში პრერეკვიზიტების სისტემა ლოგიკურად არის აგებული, რაც სტუდენტს აძლევს შესაძლებლობას დაძლიოს შემოთავაზებული სავალდებულო საგნები. პროგრამაში წარმოდგენილი არჩევითი საგნებისთვის გამოყოფილი კრედიტების ჯამი არის 24. არჩევითი საგნები წარმოდგენილია სისხლის, კერძო, საჯარო და საერთაშორისო სამართლის მიმართულებებით, მაგრამ უმჯობესი

იქნებოდა პროგრამით განსაზღვრულიყო მეთი არჩევითიდისციპლინა, რაც სტუდენტს მისცემდა უფრომეტ თავისუფლებას.
მტკიცებულებები/ინდიკატორები o სამართლის საბაკალავრო პროგრამა o თვითშეფასების ანგარიში o უნივერსიტეტის ვებგვერდი o ინტერვიუები აკადემიურ და ადმინისტრაციულ პერსონალთან o ინტერვიუები საბაკალავრო პროგრამის სტუდენტებთან
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის: უმჯობესი იქნება არჩევით კომპონენტს დაემატოს საგნები სისხლის, კერძო და საჯარო სამართლის მიმართულებებით, რათა სტუდენტს ქონდეს უფრო მეტი თავისუფლება.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ■ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.3. სასწავლო კურსი
➢ ძირითადი სპეციალობის თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს; ➢ სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს/დარგის აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი საბაკალავრო პროგრამით გათვალისწინებულია როგორც პრაქტიკული, ისე თეორიული კურსები და მათი სწორი თანაფარდობით გამოყენება უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას. პროგრამის მიხედვით, არჩევით ნაწილში, სემესტრულად სტუდენტს აქვს შესაძლებლობა აირჩიოს მისი ინტერესების მიხედვით შესაბამისი დისციპლინა. ძირითადი

სპეციალობის სასწავლო კურსების სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს. სილაბუსების უმრავლესობაში საკონტაქტო საათები სრულად არ არის ასახული, მაგალითად: ,,ადმინისტრაციული საპროცესო სამართალი"; ,,სანოტარო სამართალი"; ,,საერთაშორისო საზღვაო სამართალი" და სხვა. აღნიშნული ფაქტი შეიძლება იყოს საფრთხის შემცველი, რადგან არსებობს ალბათობა იმისა, რომ არ მოხდეს წინასწარ განსაზღვრული მასალის სრულად ათვისება. რაც შეეხება კრედიტების რაოდენობასა და კონკრეტული კურსის სწავლის შედეგებს, უნდა ითქვას, რომ ამ მიმართულედბით ყველაფერი შესაბამისობაშია და კონკრეტული კურსის შინაარსი, მისი მოცულობა და კრედიტების რაოდენობა სრულად მოდის ერთმანეთთან შესაბამისობაში. მთლლიანობაშ, სტუდენტმა უნდა დააგროვოს 240 კრედიტი რათა მიიღოს ბაკალავრის ხარისხი. სილაბუსებში მითითებული როგორც სავალდებულო, ისე არჩევთი საგნებისთვის განსაზღვრული სავალდებულო და დამატებითი ლიტერატურა სრულად საკმარისია შესაბამისი საგნის სილაბუსით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად და უზრუნველყოფს სწავლის შედეგებზე გასვლას. უნივერსიტეტს გააჩნია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო ელექტრონული ბაზები, რაც სტუდენტებს და არა მარტო შესაძლებლობას აძლევს ნებისმიერი მიმართულებით განახორციელონ კვლევა; საბაკალავრო დონეზე გადადგან პირველი ნაბიჯები ამ მიმართულებით და რესურსის თვალსაზრისით არ შეიზღუდონ თავი, რაც სტუდენტს დაინტერესების შემთხვევაში მისცემს შესაძლებლობას ჩაერთოს მისთვის უმნიშვნელოვანეს პროცესში. ასევე უნივერსიტეტს გააჩნია ბიბლიოთეკა, სადაც თავმოყრილია პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო მნიშვნელოვანი ლიტერატურა.
მტკიცებულებები/ინდიკატორები o სამართლის საბაკალავრო პროგრამა o თვითშეფასების ანგარიში o ინტერვიუები აკადემიურ და ადმინისტრაციულ პერსონალთან o ინტერვიუები საბაკალავრო პროგრამის სტუდენტებთან o სილაბუსები
რეკომენდაციები: სილაბუსებში დეტალურად უნდა გაიწეროს ყველა სასწავლო კვირის აქტივობა, უნდა მოხდეს ასახვა რა აქტივობები იგეგმება შუალედურის კვირას დარჩენილ ერთ საათში, რადგან შუალედური გამოცდა გრძელდება 2 საათი, ხოლო სასწავლო კურსების ნაწილი კვირის განმავლობაში მოიცავს 3 საკონტაქტო საათს. ასევე სილაბუსში გაწერილია მხოლოდ 13 კვირის აქტივობა და ასევე ერთი კვირა ეთმობა შულედურ გამოცდას, აუცილებელია, რომ დარჩენილი ერთი კვირის დატვირთვაც აისახოს სილაბუსებში.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ■ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.4 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება
პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი საბაკალავრო პროგრამა ითვალისწინებს და განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს პრაქტიკულ კომპონენტს, სტუდენტებს შესაძლებლობა აქვთ პრაქტიკა გაიარონ და მიიღონ პრაქტიკული გამოცდილება. ასევე უნივერსიტეტს გაფორმებული აქვს მემარანდუმები სხვადასხვა სახელმწიფო და კერძო დაწესებულებებთან, ამ მემორანდუმების საფუძველზე ხდება სტუდენტების გაგზავნა პრაქტიკაზე. სტუდენტებს აქვთ შესაძლებლობა პრაქტიკულად გამოიყენონ ის თეორიული ცოდნა, რაც მათ მიიღეს სწავლის პროცესში და ასევე გამოიმუშაონ პრაქტიკული უნარ- ჩვევები. უნივერსიტეტი ასევე დიდ ყურადღებას უთმობს კვლევით საქმიანობას და საბაკალავრო პროგრამის სტუდენტებს აძლევს შესაძლებლობას გადადგან პირველი ნაბიჯები ამ მიმართულებით მაქსიმალურად ჩაერთონ სხვადასხვა კვლევით პროექტებში. უნივერსიტეტი მონაწილეობას იღებს და ასევე თვითონ არის ორგანიზატორი კონფერენციების, საჯარო ლექციების, შეხვედრების საზოგადო და პოლიტიკურ მოღვაწეებთან და საბაკალავრო პროგრამის სტუდენტებს შესაძლებლობა ეძლევათ მათი ინერესების სფეროს შესაბამისად იყვნენ ჩართულნი ყველა ამ აქტივობაში. ფაკულტეტზე პერიოდულად ხდება სამეცნიერო შრომების კრებულის გამოცემა, სადაც სტუდენტებს აქვთ შესაძლებლობა გამოაქვეყნონ მათ მიერ შექმნილი პუბლიკაციები, რაც პირდაპირ კავშირშია მათი პროფესიულ ზრდასთან. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ აქტივობების ხარისხი კონტროლდება რაც გარანტიაა იმისა, რომ სტუდენტისათვის მიწოდებული პროდუქტი სრულ შესაბამისობაში იქნება მოთხოვნებთან.
მტკიცებულებები/ინდიკატორები o სამართლის საბაკალავრო პროგრამა o თვითშეფასების ანგარიში o ინტერვიუები აკადემიურ და ადმინისტრაციულ პერსონალთან
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ■ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.5 სწავლება-სწავლის მეთოდები
პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი საბაკალავრო პროგრამა გამოირჩევა სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება - სწავლის მეთოდებით, რომელთა მთავარი მიზანია მაქსიმალურად ჩართოს სტუდენტი დაგეგმილ აქტივობებში. პროგრამა ორიენტირებულია პრაქტიკულ აქტივობებზე და ცდილობს სტუდენტს მისცეს შესაძლებლობა მაქსიმალურად კონკურენტუნარიანი გახადოს შრომით ბაზარზე. სწავლება - სწავლის მეთოდები არის მოქნილი და ითვალისწინებს სტუდენტების ინდივიდუალურ საჭიროებებს. სწავლების შედეგების მისაღწევად, სამართლის საბაკალავრო პროგრამის განხორციელებისას ადეკვატური მეთოდების შერჩევა ხორციელდება, თანმიმდევრულად - სწავლის მიზნების, შედეგების, სასწავლო კომპონენტის სპეციფიკისა და პროგრამის განხორციელებაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალის აკადემიური თავისუფლების პრინციპის გათვალისწინებით. უნდა აღინიშნოს, რომ სწავლება- სწავლის მეთოდები სრულ შესაბამისობაში მოდის ბაკალავრიატის საფეხურთან, ასევე თითოეული კომპონენტის განხორციელებასთან დაკავშირებული სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება კურსის შინაარს და ორიენტირებულია სწავლის შედეგების მიღწევისკენ.
მტკიცებულებები/ინდიკატორები o სამართლის საბაკალავრო პროგრამა o თვითშეფასების ანგარიში o ინტერვიუები აკადემიურ და ადმინისტრაციულ პერსონალთან o სილაბუსები
რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ■ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.6. სტუდენტების შეფასება
სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა და კანონმდებლობასთან შესაბამისი.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი უნდა აღინიშნოს, რომ სტუდენტთა შეფასების ზოგადი წესი კანონთან შესაბამისობაშია, რაც დასტურდება სტუდენტებთან და აკადემიურ პერსონალთან ინტერვიუებით. სილაბუსების უმრავლესობაში შეფასების კრიტერიუმები ერთნაირი ფორმით არის წარმოდგენილი. მაგალითად საგანი: ,,ადამინის ძირითადი უფლებები და თავისუფლებები“, ,,საერთაშორისო საჯარო სამართალი“ და ,,საბანკო სამართალი“, ამ სილაბუსებში შუალედური შეფასების კრიტერიუმები ერთი და იგივეა. ამ ფაქტების არსებობა მიუთითებს იმას, რომ აკადემიური პერსონალი ნაკლებად არის ჩართული შეფასების სისტემის ორგანიზებაში და ძირითადად მომზადებულია ადმინისტრაციული პერსონალის მიერ, რაც შესაძლოა ზღუდავდეს ლექტორის აკადემიურ თავისუფლებას. ასევე ყურადღება უნდა გამახვილდეს იმ სილაბუსებზე, სადაც შუალედური ან ფინალური გამოცდის შეფასების ნაწილში მითითებულია, რომ სტუდენტი ფასდება მხოლოდ ერთი კომპონენტით. მაგალითად ,,საარჩევნო საამართალი“, ,,ქართული სამართლის ისტორია“, ,,საზღვარგარეთის ქვეყნების კონსტიტუციური სამართალი“, სადაც შუალედური შეფასების ნაწილში განსაზღვრულია, რომ სტუდენტს შეთავაზებული ექნება მხოლოდ 3 თეორიული საკითხი. ამ ნაწილში შეიძლება აღინიშნოს, რომ ეს შეფასება ვერ უზრუნველყოფს სტუდენტის ცოდნის სრულად შეფასებას და ამიტომ უმჯობესი იქნება თუ შეთავაზებული იქნება კომბინირებული ვარიანტი. ზუსტად იგივე სიტუაციაა საგანში: ,,კრიმინოლოგიასა“ და ,,სამეწარმეო სამართალში“.

მტკიცებულებები/ინდიკატორები o სამართლის საბაკალავრო პროგრამა o ინტერვიუები აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან o ინტერვიუ საბაკალავრო პროგრამის სტუდენტებთან o სილაბუსები
რეკომენდაციები სილაბუსებში დეტალურად უნდა გაიწეროს ყველა სასწავლო კვირის აქტივობა, უნდა მოხდეს ასახვა რა აქტივობები იგეგმება შუალედურის კვირას დარჩენილ ერთ საათში, რადგან შუალედური გამოცდა გრძელდება 2 საათი, ხოლო სასწავლო კურსების ნაწილი კვირის განმავლობაში მოიცავს 3 საკონტაქტო საათს. ასევე სილაბუსში გაწერილია მხოლოდ 13 კვირის აქტივობა და ასევე ერთი კვირა ეთმობა შულედურ გამოცდას, აუცილებელია, რომ დარჩენილი ერთი კვირის დატვირთვაც აისახოს სილაბუსებში.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ■ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა		[redacted]		

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, შესაბამისი სერვისების შეთავაზებით; ხელს უწყობს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში.

3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო მომსახურება
სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებაზე, დასაქმებაზე სათანადო კონსულტაციას და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით მხარდაჭერას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

თვითშეფასების ანგარიშზე და თანდართულ დოკუმენტაციაზე დაყრდნობით მოცემულ სტანდართტან მიმართებით გამოიკვეთა ორი მდგომარეობა: ერთის მხრივ უნივერსიტეტი (აკადემიური პერსონალი) აქტიურად არის ჩართული პროგრამის განხორციელებაში, კონფერენციების და შეხვედრების დაგეგმვაში. თუმცა მეორეს მხრივ უნდა აღინიშნოს რომ სტუდენტები არ არიან ჩართულების საუნივერსიტეტო ცხოვრებაში. ზოგიერთ შემთხვევაში მათ მიეწოდებათ ინფორმაცია დაგეგმილი ღონისძიებების შესახებ თუმცა არ იღებენ მონაწილეობას და არ არიან აქტიურები. აკადემიური პერსონალის გარდა დადგენილი სტანდარტული პროცედურებისა საჭიროებს დამატებით ინიციატივას და სტუდენტების მოტივაციის გაზრდას და სტუდენტების დამხამრებას და ასისტირებას მაქსიმალური კომუნიკაციით, ინფორმაციით და მხარდაჭერით. ვიზიტის პროცესში ექსპერტთა ჯგუფი შეხვდა კურსდამთავრებულებს და აქტიური სტატუსის მქონე სტუდენტებს რომელთაც აღნიშნეს რომ არ მიუღიათ მონაწილეობა ადგილობრივ და საერთაშორისო კონფერენციებში და კონკურსებში. შეკითხვაზე ჰქონდათ თუ არა მათ ინფორმაცია იმის შესახებ თავად ან მათ კურსელებს დაუწერიათ თუ არა თემა მათი პასუხი იყო ნეგატიური. ლექტორებმა ისაუბრეს წარსულ და სამომავლო აქტივობებზე რაც მისასალმებელია, თუმცა თუ აღნიშნული აქტივობები არ არის მიმართული იმაზე რომ გაუმჯობესდეს სტუდენტების აკადემიური საქმიანობა და თუ უნივერსიტეტი არ იზრუნებს მათ ჩართვაზე აღნიშნულ აქტივობებში ამ კომპონენტის მიზანი არ იქნება მიღწეული.

პრობლემას შეიძლება წარმოადგენდეს ასევე სტუდენტების მოტივაციის ნაკლებობა და აქტიურობა სასწავლო პროგრამის დაგეგმვის პროცესში. თვითშეფასების ანგარიშის მე-9 გვერდზე მითითებულია რომ სამი სტუდენტი იყო ჩართული სასწავლო პროგრამის განვითარებაში. კითხვაზე თუ რა კრიტერიუმებით იყო შერჩეული აღნიშნული სამი სტუდენტი, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა აღნიშნა რომ ისინი შერჩეულნი იყვნენ პირადი შეხედულების მიხედვით საუკეთესო სტუდენტების სიიდან. ასეთი კრიტერიუემით სტუდენტების შერჩევა მართივია უნივერსიტეტისათვის, თუმცა შესაძლებელია ამან გამოიწვიოს ის რომ სხვა სტუდენტების ინტერესები არ იყოს გათვალისწინებული. სტუდენტებთან გასაუბრებისას გამოირკვა რომ უმეტესობას არ ჰქონდა ინფორმაცია პროგრამასთან დაკავშირებიტ და არასდროს მიუღიათ მონაწილეობა მის განვითარებაში. უმჯობესი იქნება ყველა სტუდენტი თანაბრად იყოს ჩართული უნივერსიტეტის აქტივობებში. სტუდენტების უმეტესობა არ იყო სტუდენტური თვითმართველობის წევრი, არ ჰოქნდათ ინიციატივები და არასდროს დაუგეგმავთ ისე თუ ის აქტივობა.

უნივერსიტეტის მიერ აღინიშნა, რომ მათ აქვთ წვდომა საერთაშორისო ელექტრონულ სამართლებრივ ბაზებთან, სტუდენტები ამის შესახებ არ ფლობდნენ ინფორმაციას., მათ არ იოდნენ თუ რომელ ბაზაზე იყო შესაძლებელი წვდომა ბიბლიოთეკიდან შესაბამისად არასდროს გამოუყენებიათ. აუცილებელია აკადემიური პერსოანლი ფლობდეს და აწოდებდეს სტუდენტებს ინფორმაციას უნვერსიტეტში არსებული რესურსების თაობაზე, კონსულტაციების და პრაქტიკული დავალებების მიცემის გზით უბიძგონ სტუდენტებს გამოიყენონ აკადემიური რესურსები რაც გააუმჯობესბდა მათ აკადემიურ მოსწრებას.

ინტერვიუს დროს აღინიშნა, რომ უნივერსიტეტში ინგლისური ენის სწავლება ხორციელდებოდა B2 დონეზე. სტუდენტების ცოდნის დონე რეალურად განსხვავდებოდა აღნიშნული განცხადებისაგან. სტუდენტები ვერ საუბრობდნენ ინგლისურ ენაზე.

აუცილებელია პროგრამის ხელმძღვანელობამ გააძლიეროს მხარდაჭერა, სწორად დაგეგმოს სასწავლო პროცესი, წაახალისოს სტუდენტთა კვლევით საქმიანობაში მონაწილეობის სურვილი იმისათვის რომ დადგეს პრაქტიკული შედეგი.
აღსანიშნავია, რომ სტუდენტთა უმეტესობამ დაიწყო მუშაობა უნივერსიტეტის მიერ გაწეული რეკომენდაციის შედეგად. სტუდენტებს მიაჩნდათ რომ მათ ჰქონდათ საკმარისი პრაქტიკული უნარ-ჩვევები იმისათვის რომ დაეწყოთ მუშაობა. სტუდენტებმა აღნიშნეს რომ ლექტორები არიან კეთილგანწყობილნი, კურსდამთავრებულები მადლიერნი იყვნენ იმ სასწავლო პირობებით რაც მათ შეუქმან უნივერსიტეტმა.
უნივერსიტეტის მოღვაწეობის ძირითადი ფოკუსი და მათი წარმატების მთავარი ინდიკატორი მდგომარეობს მათ სტუდენტებში, მათ მიერ მიღწეულ წარმატებაში და დამოკიდებულებაში სასწავლო პროცესის მიმართ.

აღსანიშნავია, რომ ზემოთ ჩამოყალიბებული პოზიციის ძირითადი საფუძველი სტუდენტებისგან მიღებული ინფორმაციაა. ბუნებრივია, ექსპერტთა ჯგუფი ვერ გამორიცხავს ცალკეული სტუდენტების მხრიდან აქტივობას, თუმცა ის გარემოება, რომ უნივერსიტეტის მიერ ინტერვიურებისათვის შერჩეული 10-მდე სტუდენტიდან არცერთს არ მიუღია მონაწილეობა დარგობრივ აქტივობებში, კონფერენციებში, არცერთ მათგანი არ ფლობს ისეთ აუცილებელ, საჭირო ინფორმაციას, როგორიც საერთაშორისო ელექტორნული ბაზების ქონა/გამოყენებაა და სხვა., ერთიანობაში ქმნის ამ დასკვნის გაკეთების საშუალებას, რომელიც წარმოვადგინთ.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების ანგარიში და პროგრამასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია
- პროგრამის აღწერილობა
- ინტერვიუ სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან, აკადემიურ პერსონალთან, დამსაქმებლებთან და პროგრამის განმახორციელებლებთან.
-

რეკომენდაციები:

- აკადემიურმა პერსონალმა მიაწოდოს სტუდენტებს ინფორმაცია მიმდინარე აქტივობების შესახებ, უზრუნველყოს მათი ჩართულობა, გაზარდოს მათი მოტივაცია (შეფასებით ან სტიპენდიით).
- სტუდენტებს უნდა მიეცეთ შესაძლებლობა რომ დაგეგმონ და განახორციელონ საკუთარი აქტივობები.
- აკადემიურმა პერსონალმა მხარდაჭერა უნდა გაუწიოს სტუდენტებს რომ მონაწილეობა მიიღონ სხვადსხვა შეჯიბრებეში ან მსგავს აქტივობებში. აუცილებელია სტუდენტებისათვის აქტიური გარემოს შექმნა.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ■ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

3.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა
მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს ჰყავთ კვალიფიციური ხელმძღვანელი.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი
მტკიცებულებები/ინდიკატორები
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა		[redacted]		

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

4.1 ადამიანური რესურსი
➢ პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია; ➢ პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის წარმართვას და ასევე, სამეცნიერო-კვლევითი/შემოქმედებითი/ საშემსრულებლო საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის ბალანსი უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას; ➢ პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება და უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში; ➢ პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი თვითშეფასების ანგარიშის მიხედვით პრგრამაში ჩართულია 9 აკადემიური და 13 მოწვეული პროფესორი. აღსანიშნავია რომ აკადემიური და მოწვეული პერსონალი გამიჩევა მაღალი კვალიფიციურობით და გამოცდილებით. აკრედიტაციის ვიზიტმა და გადამოწმებულმა დოკუემნტაციამ ეჭვის ქვეშ არ დააყენა ის ფაქტი რომ უნივერსიტეტი აკმაყოფილებს სტანდარტს. მნიშვნელოვანია უნივერსიტეტმა შეინარჩუნოს არსებული აკადემიური პერსონალი სტაბილურობის მიზნით.
მტკიცებულებები/ინდიკატორები o **აკადემიური პერსონალის რეზიუმეები და დიპლომები** o **ინტერვიუები ადმინისტრაციასთან, ფაკულტეტის წარმომადგენლებთან, პროფესორებთან** o **თვითშეფასების ანგარიში** o **პროგრამის აღწერილობა**
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ■ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.2 აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება
➢ დაწესებულება რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს; ➢ უსდ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე, ასევე ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი აკრედიტაციის ვიზიტის და ინტერვიუების დროს დადასტურდა, რომ უნივერსიტეტი ხელს უწყობს და აფინანსებს აკადემიური პერსონალის პროფესიულ განვითარებას. აღინიშნა, რომ აკადემიური პერსონალი უზრუნველყოფილია ფინანსური მხარდაჭერით მათი აკადემიური საქმიანობის და კვლევის დროს. აღნიშნული დადასტურდა ასევე ფინანსური დოკუმენტებითაც. პროფესორებმა განაცხადეს, რომ უნივერსიტეტი აქვეყნებს მათ შრომებს და პუბლიკაციებს. მნიშვნელოვანია უნივერსიტეტი აქტიურად იყოს ჩართული პერსონალის მხარდაჭერასა პროფესიულ განვითარებაში. მხარდაჭერა არ უნდა აისახებოდეს მხოლოდ დაფინანსებაში და თავისუფალი დროის მიცემაში. უფრო აქტიური მუშაობა უნდა განხორციელდეს ინტერნაციონალიზაციის კუთხით სხვა უნივერსიტეტებთან პარტნიორობის გაზრდის მიზნით, უნდა შეიქმნას შესაძლებლობები პერსონალისათვის მონაწილეობა მიიღონ გაცვლით პროგრამებში.

მტკიცებულებები/ინდიკატორები o **აკადემიური პერსონალის რეზიუმეები და დიპლომები** o **ინტერვიუები ადმინისტრაციასთან, ფაკულტეტის წარმომადგენლებთან, პროფესორებთან** o **თვითშეფასების ანგარიში** o **პროგრამის აღწერილობა**
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის უნივერსიტეტი უნდა გააქტიურდეს საერთაშორისო თანამშრომლობის კუთხით საკუთარი აკადემიური პერსონალის საერთაშორისო თანამშრომლობის მხარდაჭერის მიზნით. უნდა შეიქმნას გაცვლით პროგრამებში მონაწილეობის შესაძლებლობები.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ■ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.3 მატერიალური რესურსი
პროგრამა უზრუნველყოფილია იმ აუცილებელი ინფრასტრუქტურითა და ტექნიკური აღჭურვილობით, რაც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი უნივერსიტეტს აქვს შესაბამისი ინფრასტრუქტურა და ტექნიკური აღჭურვილობა იმისათვის რომ წარმატებით წარიმართოს სასწავლო პროცესი. შენობები ძალიან კარგ მდგომარეობაშია და კომფორტულია სტუდენტებისათვის. ექსპერტთა ჯგუფმა დაათვალიერა უნივერსიტეტის ორივე შენობა. საკლასო ოთახები აღჭურვილია საჭირო ტექნოლოგიებით. დათვალიერებულ იქნა უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა და შემთხვევითობის პრინციპით გადამოწმდა ლიტერატურა. დადგინდა რომ სილაბუსში

მითითებული ყველა წიგნი განთავსებული იყო ბიბლიოთეკაში. თუმცა უნდა აღინიშნოს რომ ვიზიტის დროს ვერ დადგინდა თუ რომელ სამართლებრივ ელექტრონულ რესურსებთან ჰქონდათ სტუდენტებს და პროფესორებს წვდომა. უნდა აღინიშნოს რომ აკადემიური პერსონალი ასევე მხარდაჭერის მიზნით უზრუნველყოფს საკუთარიწიგნების მიწოდებას ბიბლიოთეკისათვის, სტუდენტებს შესაძლებლოა აქვთ გადაიღონ აღნიშნული წიგმნების ასლები, თუმცა აღნიშნული პრაქტიკა არ უნდა ეხებოდეს სავალდებულო ლიტერატურას. სასურველი იქნება თუ კი უნივერსიტეტი გაითვალისწინებს სტუდენტთა რაოდენობას სახელმძღვანელოების სეძენის პროცესში ვინაიდან ზოგიერთი სახელმზღვანელო არ არის საკმარისი რაოდენობის. თუ კი ერთი და იგივე წიგნი დასჭირდება რამოდენიმე სტუდენტს მათი მოთხოვნა ვერ იქნება დაკმაყოფილებული.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ▪ **ორი შენობის დათვალიერება. მთავარი შენობა და შენობა ორი კომპიტერული კლასით** ▪ **ბიბლიოთეკის დათვალიერება** ▪ **ინტერვიუ ადმინისტრაციასთან და ბიბლიოთეკის თანამშრომლებთან**
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის • ბიბლიოთეკის მოცულობა უნდა გაიზარდოს სტუდენტების რაოდენობის პროპორციულად • უნივერსიტეტმა უნდა შეიმუშაოს სახელმძღვანელოების შეძენის გეგმა საჭიროების მიხედვით, რაც გაზრდის წიგნადი ფონდის მოცულობას
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ■ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.4 პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა
პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტის დროს გადამოწმდა უნივერსიტეტის ბიუჯეტი. სტუდენტების მიერ გადახდილი სწავლის საფასურთან ერთად დიდი ნაწილი ბიუჯეტის (დდახლოებით 2 მილიონი ლარი) შემოსულია სხვა წყაროებიდან, დიდი ნაწილი დაფინანსებისა მოდის საქართველოს ორთოდოქსული ავტოკეფალური ეკლესიიდან. სრული ჯამი ბიუჯეტისა ადეკვატურად გადანაწილეობულია ფაკულეტტის მოთხოვნებზე. სტუდენტების რაოდენობის სტაბილური ზრდა მიუთითებს იმაზე რომ პროგრამა ფინანსურად მდგრადია.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ▪ **დოკუმენტაციის მიმოხილვა - პროგრამის ბიუჯეტი** ▪ **ინტერვიუ ადმინისტრაციასთან, რექტორთან და პროგრამის ხელმძღვანელთან** ▪ **თვითშეფასების ანგარიში** ▪ **პროგრამის აღწერილობა**
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ■ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	■			

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

სწავლების ხარისხის განვითარების მიზნით პროგრამა იყენებს შიდა და გარე ხარისხის სამსახურებს, პერიოდულ მონიტორინგსა და შეფასებას უწევს პროგრამას. აგროვებს და აანალიზებს რელევანტურ ინფორმაციას შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად და განსავითარებლად.

5.1 შიდა ხარისხის შეფასება
პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში და იყენებს ხარისხის შეფასების შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი უნივერსიტეტში შემუშავებულია ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები, რომელიც ითვალისწინებს ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის " დაგეგმე, განახორციელე, შეამოწმე, განავითარეს“ პრინციპით მუშაობას. ამ პრინციპის საფუძველზე უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური რეგულარულად ახორციელებს პროგრამის მონიტორინგს. ამ მიზნით ხდება სტუდენტების და აკადემიური პერსონალის მიერ შეფასების ფორმების შევსება. უნდა აღინიშნოს, რომ სტუდენნტების გამოკითხვის შედეგად დადგინდა, რომუნივერსიტეტი სტუდენეტების გამოკითხვითვის იყენებს გოოგლის ვირტუალურ სივრცეს, რაც არის ოპტიმალური ვარიანტი და უნივერსიტეტს მართებს შექმნას სპეციალური სისტემა ან გამოძებნოს სხვა გზა, რაც უზრუნველყოფს სტუდენტების მიერ ანონიმურად აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის შეფასებას, რაც რა თქმა უნდა პირდაპირ კავშირშია პროგრამის განხორციელების პროცესში ხარვეზების იდენტიფიცირებისა და შემდგომ აღმოფხვრისა. დმკვიდრებული ფორმატით სტუდენტების გამოკითხვის შედეგებს ხარისხის სამსახური იყენებს პროგრამის შეძლებისდაგვარად განსავითარებლად. გასაუბრების შედეგად გაირვა, რომ სტუდენტების შეფასებებისა და მოსაზრებების შედეგად ხდებოდა პროგრამის მოდიფიცირება, მაგალითად უფრო მეტი ადგილი დაეთმო პრაქტიკულ კომპონენტს.

ასევე უნდა აღინიშნოს, რომ ხარისხის სამსახური აკონტროლებს და ამოწმებს აკადემიური და მოწვეული პერსონალის მიერ ჩატარებული ლექციებისა და სემინარების ხარისხს. რაც მნიშვნელოვანი გარემოებაა პროგრამის სრულყოფილად განხორციელებისთვის. ასევე მოწმდება აკადემიური და მოწვეული პერსონალის მიერ განხორციელებული კვლევები. რაც ასევე ძალიან მნიშვნელოვანი კომპონენტია.

სტუდენტების მიერ ხდება არა მარტო სასწავლო კურსის სილაბუსებისა და პროფესორ–მასწავლებელთა შეფასება, არამედ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური სწავლების ხარისხის უზრუნველყოფის, გაუმჯობესებისა და საგანმანათლებლო პროგრამების ადმინისტრირების მიზნით, აკადემიურ პერსონალთან და სტუდენტებთან ერთად სისტემატურად აფასებს საგანმანათლებლო პროგრამებს და ახდენს მათ მონიტორინგს.

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს შემუშავებული აქვს შიდა შეფასების მექანიზმები, რაც გულისხმობს კურსდამთავრებულთა და დამსაქმებელთა მოსაზრებების გასარკვევად რაოდენობრივი და თვისებრივი კვლევების ჩატარებას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ინტერვიუ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსთან
- ინტერვიუ ფაკულტეტის დეკანთან

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

უმჯობესი იქნება თუ უნივერსიტეტს ექნება ელექტრონული სისტემა, რომლის მიხედვითაც მოხდება სტუდენტების, ადმინისტრაციული პერსონალისა და ლექტორების გამოკითხვა.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

- [x] შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- [ ] მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- [ ] ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- [ ] არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.2 გარე ხარისხის შეფასება

პროგრამა რეგულარულად იყენებს გარე ხარისხის შეფასების შედეგებს.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი საბაკალავრო პროგრამა ექვემდებარება ავტორიზაციის და აკრედიტაციის პროცედურებს, უნივერსიტეტის საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის ახალი ვადით მოსაპოვებლად, კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად გადის აკრედიტაციის პროცედურას. ამ მიზნით ის ამზადებს შესაბამის დოკუმენტაციას, ასევე პერიოდულად აგზავნის სსიპ ,,განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში“ თვითშეფასების ანგარიშს. თვითშეფასების დოკუმენტში საუბარია იმაზე, რომ საგანმანათლებლო პროგრამაში რამდენიმე მნიშვნელოვანი ცვლილება განხორციელდა . მათი ნაწილი განპირობებული იყო აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის და საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციებით. მაგალითისთვის გაზარდა აკადემიური პერსონალის რაოდენობა სამართლის პროგრამაზე. აღნიშნული ფაქტი მეტყველებს იმაზე, რომ უნივერსიტეტი სწორად რეაგირებს სახელმწიფოს მიერ დადგენილ რეგულაციებზე და შესაბამისი უწყების მითითებზე, რაც რა თქმა უნდა პროგრამის განვითარებიკენ არის მიმართული და ეხმარება პროგრამის განვითრების პროცესს. ასევე ხაზგასასმელია ის გარემოება, რომ უნივერსიტეტს გეგმაში აქვს დამოუკიდებელი უცხოელი ექსპერტების მოწვევა, ათა მათმიერ მოხდეს პროგრამის შეფასება და გამოთქმული მოსაზრებებისა და შენიშვნების მაქსიმალურად გათვალისწინება, რაც ასევე მისამსალმებელი ფაქტია და ორიენტირებულია პროგრამის დახვეწაზე.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ▪ ინტერვიუ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსთან ▪ ინტერვიუ ფაკულტეტის დეკანთან
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ■ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება

პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

უნივერსიტეტში უწყვეტად ხორციელდება საგანმანათლებლო პროგრამების მონიტორინგი და პერიოდული შეფასება, რომლის შედეგებიც ყოველი სასწავლო წლის დასრულების შემდეგ იკრიბება, ანალიზდება და აისახება ხარისხის უზრუნველყოფის და სტრატეგიული განვითარების სამსახურის მიერ.

ხარისხის სამსახურს შემუშავებული აქვს კითხვარის ფორმა სტუდენტებისთვის, რომლის მიხედვითაც ხდება სტუდენტების გამოკითხვა, ასევე აქტიურად არიან ჩართულნი გამოკითვის პროცესში როგორც აკადემიური პერსონალი, ასევე მოწვეული ლექტორები. უნივერსიტეტს აქვს ხშირი კომუნიკაცია დამსაქმებლებთან, კურსდამთავრებულებთან და სხვა დაინტერესებულ პირებთან, მათგან მიღებული რეკომენდაციებისა და წინადადებების გადამუშავებისა და ანალიზის საფუძველზე ხდება პროგამის გაუმჯობესება და მოდიფიცირება.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ინტერვიუ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსთან
- ინტერვიუ ფაკულტეტის დეკანთან

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

[redacted] შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	■			

თანდართული დოკუმენტაცია (არსებობის შემთხვევაში)

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება: ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტი

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება: სამართლის საბაკალავრო პროგრამა

დასკვნის გვერდების რაოდენობა:

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	■			
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა		■		

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა		■		
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	■			
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	■			

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის

ჰალუქ ქაბაალიოღლუ

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრ(ებ)ის

ვახტანგ ჟვანია

თამარ ბარამაშვილი